კასპში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა გრძელდება

16 სექტემბერი 2024

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ სიმონ გულედანმა კასპის მერის მოადგილესთან ზურაბ კოპაძესთან ერთად კასპში 9 აპრილის ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები დაათვალიერა. ამჟამად მიმდინარეობს ასფალტის დაგება და ასევე, ეზოებში შესასვლელების მოწყობა. ჯამში, ქუჩის სიგრძე 574 გრძივი მეტრს შეადგენს.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომლის ღირებულებაც 300 000 ლარზე მეტს შეადგენს.

აღნიშნული ქუჩა ერთ-ერთია ქალაქის იმ 11 ქუჩიდან, რომელთა რეაბილიტაციაც მერიამ მიმდინარე წელს დაგეგმა